შინაურ ბინადარ ცხოველთა

კეთილდღეობის გამოწვევები

კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში

შინაარსი

შესავალი	3
საქართველოს კანონმდებლობა	4
პრაქტიკაში აღსრულება	8
კომპანიონ ცხოველთა მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესი ადგილობრივ დონეზე (თბილისის მაგალითზე)	10
დასკვნა	18

მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, SIDA-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. SIDA შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

შესავალი

ადამიანებისა და ცხოველების თანაარსებობისთვის უსაფრთხო და საიმედო გარემოს შექმნა სასიცოცხლო მნიშვნელობას ატარებს. ცხოველთა დაცვის სფეროში შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნას მე-19 საუკუნის დასაწყისში დიდმა ბრიტანეთმა ჩაუყარა საფუძველი. მას შემდეგ, ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტები და დეკლარაციები. სამწუხაროდ, საქართველო ამ დრომდე არ შეერთებია ცხოველთა კეთილდღეობაზე ორიენტირებულ საერთაშორისო კონვენციებს/დეკლარაციებს, მათ შორის, ქვეყანა არ გახლავთ ცხოველთა უფლებების მსოფლიო დეკლარაციის[1] ხელმომწერი, ასევე, არ აქვს რატიფიცირებული შინაურ ცხოველთა დაცვის ევროკონვენცია.[2]

ცხოველთა კეთილდღეობის/ცხოველთა უფლებების დაცვის საკითხებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნა ცალკეული საკანონმდებლო აქტით აწესრიგებს. კომპანიონ ცხოველთა დაცვის კუთხით საქართველო მნიშვნელოვან გამოწვევებს აწყდება. მიუხედავად რიგი საკანონმდებლო ცვლილებებისა, ცხოველთა არაკონტროლირებადი გამრავლება, ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობა და მათი ორთაბრძოლები, ცოფისა და ცხოველთა სხვა დაავადებების გავრცელება, ცხოველების მომშენებლებისა და სავაჭრო ობიექტების დაურეგულირებელი საქმიანობა - არსებულ პრობლემათა მხოლოდ მცირე ჩამონათვალს წარმოადგენს.

ვიდრე საკანონმდებლო რეგულირებისა და აღსრულების ნაწილზე გადავალთ, მნიშვნელოვანია განვმარტოთ ზოგიერთი ტერმინი. მაგალითისთვის, „კომპანიონი ცხოველები", რომლის უნივერსალური და საერთაშორისოდ აღიარებული დეფინიცია არ არსებობს. თუმცა, ქართულ კანონმდებლობაში ამასთან დაკავშირებით შემდეგ ჩანაწერს ვხვდებით: *კომპანიონია ცხოველი, ჰომღის სახეობასაც ახ იყენებენ სამეუჰნეო ფეჰმეჰუღი დანიშნუღებით, ასევე ნებისმიეჰი სახეობის ცხოველი, ჰომეღზეც მისი მეპატჩონე ახოჩიეღებს მოვღა-პატჩონობას, ახ იყენებს სამეუჰნეო ფეჰმეჰუღი დანიშნუღებით და მისი ყოღა ნებადახთუღია მოქმედი კანონმდებღობით.*[3]

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის საკანონმდებლო გარანტიებსა და მათ პრაქტიკაში აღსრულებას პერიოდულად მიმოიხილავს.[4] 2019 წლიდან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა, რის შემდეგაც ცხოველთა წამებისა და მათდამი სასტიკი მოპყრობის ფაქტებზე გამოძიებათა დაწყების მაჩვენებელი გაიზარდა.[5] დღესდღეობით არსებული სიტუაციის მიმოხილვის მიზნით, IDFI-მ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან (შსს), საქართველოს უზენაესი სასამართლოდან და თბილისის მერიის დაქვემდებარებაში მყოფ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოდან ცალკეული საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა.

---

[1] *Universal declaration of animal rights (1978). UNESCO. Available at: https://bit.ly/3RwW3R5*

[2] *European Convention for the Protection of Pet Animals (1987). Council of Europe. Available at: https://rm.coe.int/168007a67d*

[3] *მუნიციპალიტეტების მიეh მიღებული დადგენილებები*

[4] *მიმოხილვები ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულებზე:*
https://idfi.ge/public/upload/IDFI_2019/visegrad/Animal_Cruelty_Georgian.pdf
https://idfi.ge/ge/statistics_on_animal_cruelt_in_georgia
https://datalab.ge/ge/visualizations/view/27

[5] *ცხოველთა მიმართ სასტიკი და არასათანადო მოპყრობის მდგომარეობა საქართველოში (2019). ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). გვ. 6. ხელმისაწვდომია:*
https://idfi.ge/ge/cruel_and_ill_treatment_of_animals_in_georgia

საქართველოს კანონმდებლობა

ცხოველთა უფლებების კუთხით ქართული კანონმდებლობა ფრაგმენტულია. კერძოდ, ცხოველების მიმართ არასათანადო მოპყრობა სისხლის სამართლის კოდექსითა (259-ე მუხლი) და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით (103-ე, 104-ე და 172-ე მუხლები) რეგულირდება. კანონი ასევე ფრაგმენტულად არეგულირებს ცხოველთა მეპატრონის ვალდებულებებს, რის შესახებ ჩანაწერებსაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსსა და ნარჩენების მართვის კოდექსშიც ვხვდებით. გარდა ამისა, არსებობს ადგილობრივ დონეზე ცალკეული მუნიციპალიტეტების მიერ მიღებული დადგენილებებიც, რომელსაც საფუძვლად არ უდევს ერთიანი საკანონმდებლო ბაზა და რომელთა აღსრულებაც მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლის თანახმად ისჯება ძაღლისა და კატის ყოლის წესების დარღვევა, რაც გამოიწვევს მოქალაქის დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების მეხუთედ მინიმალურ ოდენობამდე, ხოლო თანამდებობის პირის დაჯარიმებას – შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე. თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ბულვარში, პარკში ან სკვერში ძაღლის საბმელის ან ალიკაპის გარეშე ტარების შემთხვევაში ამავე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს ძაღლის მეპატრონის 20 ლარით დაჯარიმებას. საჯარიმო სანქციის 50 ლარამდე გაზრდას ითვალისწინებს იგივე ქმედების განმეორებით ჩადენა.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 104-ე მუხლის თანახმად, ცხოველისადმი არასათანადო მოპყრობა, რამაც მისი ტანჯვა, სხეულის დაზიანება, ან მისთვის ტკივილის მიყენება გამოიწვია, ისჯება ჯარიმით 100-დან 500 ლარამდე. **ამავე კოდექსის 172-ე მუხლით** დგება იმ მშობელთა/ბავშვის კანონიერ წარმომადგენელთა პასუხიმგებლობა, რომელთა მიერ არასრულწლოვნის აღზრდისა და სწავლების ან მის მიმართ სხვა მოვალეობათა შეუსრულებლობა, გამოიხატა ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობით, რამაც მისი დაღუპვა ან დასახიჩრება გამოიწვია. მოცემული მუხლი ითვალისწინებს ჯარიმას 100-დან 300 ლარამდე ოდენობით, ხოლო განმეორების შემთხვევაში ჯარიმას 500 ლარის ოდენობით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლი, ცხოველის წამების ან მისდამი სასტიკი მოპყრობისათვის, რამაც მისი დაღუპვა ან დასახიჩრება გამოიწვია, სასჯელის სახით ითვალისწინებს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას, შინაპატიმრობას, ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას ვადით ერთ წლამდე. აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულ ცვლილებათა განხორციელებამდე (2019 წელი), მოცემული ქმედებისთვის სასჯელის სახით გათვალიწინებული იყო მხოლოდ ჯარიმა ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 103-ე მუხლის თანახმად, ცხოველის მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მისმა ცხოველმა სხვას მიაყენა. ამასთან, არ აქვს მნიშვნელობა, ცხოველი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, დაკარგული იყო, თუ გაქცეული. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ გამოიყენება მაშინ, როცა მეპატრონემ მესამე პირთა დასაცავად აუცილებელ ზომებს მიმართა.

2019 წლიდან დღემდე, საქართველოს პარლამენტში, ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე ორიენტირებულ საკანონმდებლო წინადადებათა ინიცირება არაერთხელ მომხდარა. ყველაზე მასშტაბურად აღნიშნული საკითხი „შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“ კანონპროექტის ინიცირებით დადგა, რომელიც მიღების შემთხვევაში ძალაში 2020 წლის 1-ლი იანვრიდან უნდა შესულიყო, თუმცა აღნიშნულის სისრულეში მოყვანა ვერ მოხდა.

პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი ამ ეტაპზე კვლავ მუშაობს ახალ კანონპროექტზე *„შინაუh ბინადაh ცხოვეღთა შესახებ“*,[6] zრომელიც შინაურ ცხოველთა მოვლა-პატრონობისა და კეთილდღეობის სამართლებრივ საფუძვლებთან ერთად, პროცედურულ, ფინანსურ და სხვა სახის ვალდებულებებს დეტალურად განსაზღვრავს. კანონპროექტზე მუშაობა თბილისის მერიის მხარდაჭერითა და ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს უშუალო ჩართულობით მიმდინარეობდა. კანონპროექტის ავტორების თქმით, საკანონმდებლო წინადადების დამტკიცებით სისტემურად მოწესრიგდება და გაუმჯობესდება ცხოველთა დაცვის ხარისხი. ამასთან, კანონის მიღება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადამიანისა და ცხოველის თანაარსებობის უსაფრთხო გარემოს შექმნას.

უფრო კონკრეტულად, ახალი კანონპროექტი შინაურ ბინადარ ცხოველთა მოვლა-პატრონობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფისკენ მიმართულ შემდეგ საბაზისო საკითხებს დაარეგულირებს: მეპატრონის/მიმკედლებლის ვალდებულებები, კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულებების ფუნქციონირება, ცხოველთა არაკონტროლირებადი გამრავლება და რეალიზაცია, მომეტებული რისკის მქონე ჯიშის ძაღლების ყოლა და გამრავლება, ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობა და მათი ორთაბრძოლები, ცოფისა და ცხოველთა სხვა საშიში დაავადებების გავრცელების პრევენცია, უმეთვალყურეო, უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების პოპულაციის მართვა და ა.შ. გამომდინარე აქედან, კანონპროექტი სამომავლოდ მოიცავს სამართლებრივი ურთიერთობის ყველა სუბიექტს: მეპატრონეს, მიმკედლებელს, კინოლოგიურ/ფელინოლოგიურ დაწესებულებებსა და კლუბებს, ვეტერინარულ კლინიკებს, სარეალიზატიო ობიექტებს, შინაურ ბინადარ ცხოველთა რეალიზატორებს და ა.შ.

---

[6] *საქაhთვეღოს კანონის პhოექტი შინაუh ბინადაh ცხოვეღთა შესახებ. ხეღმისაწვდომია:* https://bit.ly/3DeBkMY

გარდა ამისა, ბოლო დროს კონკრეტული ჯიშის ძაღლების მხრიდან ადამიანზე თავდასხმის გახშირებული შემთხვევებიდან გამომდინარე, გაჟღერდა ინფორმაცია, რომ კანონპროექტით შესაძლოა საერთოდ აკრძალულიყო მსგავსი ჯიშების შემოყვანა და გამრავლება,[7] თუმცა, კომიტეტის მიერ წარმოდგენილ სამუშაო ვერსიაში სრული აკრძალვის ნაცვლად, მსგავსი ჯიშების აყვანის/ყოლის გამკაცრებული რეგულაციებია გათვალისწინებული. კერძოდ, მომეტებული რისკის მქონე ჯიშის ძაღლის ყოლა/გამრავლება დასაშვებია 25 წლის ასაკიდან. ამასთან, ძაღლის ყოლის მსურველმა, ძაღლის რეგისტრაციის დროს უნდა წარადგინოს ნასამართლობის, დანაშაულისთვის მსჯავრდების, ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე არყოფნის და ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ შესაბამისი ცნობებები, ასევე კინოლოგიური დაწესებულებიდან მომეტებული რისკის მქონე ჯიშის ძაღლის მართვის თაობაზე შესაბამისი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

კანონპროექტის განხილვის მიზნით, პირველი სამუშაო შეხვედრა 2022 წლის მარტში გაიმართა,[8] ხოლო 2022 წლის 25 ოქტომბერს კომიტეტმა დაინტერესებულ მხარეებს კანონის პროექტის სამუშაო ვერსიის მიზნები და ძირითადი პრინციპები გააცნო. აღსანიშნავია, რომ საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ცხოველთა უფლებების დამცველ აქტივისტებში ორაზროვნება გამოიწვია სამუშაო ვერსიით გათვალისწინებულმა ზოგიერთმა პუნქტმა, მაგალითად:

1. მიმკედლებლების ახალი ვალდებულებები, მათ შორის მიკედლებული ცხოველის პერიოდული აცრა და დაჩიპვა - გარდამავალი დებულებების თანახმად, მიკედლებულების ვაქცინაციას მხოლოდ 2 წლის მანძილზე განახორციელებს უფლებამოსილი ორგანო. ცხოველების უფლებადამცველთა აზრით, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა ამ კუთხით მომავალშიც გაგრძელდეს.

2. საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ფართზე/ტერიტორიაზე მიკედლებული ცხოველების რაოდენობის განსაზღვრის საკითხი, ასევე, ადგილების ჩამონათვალი, სადაც აკრძალული ხდება ცხოველების მიკედლება.

ამავდროულად, გამოითქვა მოსაზრება, რომ მნიშვნელოვანი იქნება კანონის აღსრულების ეფექტური მექანიზმების არსებობა და მუნიციპალიტეტებისთვის შესაბამისი ფინანსური რესურსების უზრუნველყოფა, რათა შეძლონ ახალი ვალდებულებების განხორციელება.

აღსანიშნავია, რომ იქამდე, 2021 წლის ბოლოს, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტიმა განიხილა მოქალაქის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადა-

---

[7] *საქართველოში შესაძლოა, "აგრესიული ჯიშის" ძაღლების გამრავლება და ყოლა აიკრძალოს (2022). რადიო თავისუფლება. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3SJsAnv*

[8] *კანონმდებლობით ახლებურად დარეგულირდება შინაური ცხოველთა მოშენებასა და მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული სუბიექტების საქმიანობა (2022). საქართველოს პარლამენტი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3SHbUgu*

დება, უმეთვალყურეო და მიკედლებული ცხოველების ცხოველთა თავშესაფარში სავალდებულო გადაყვანის შესახებ, თუმცა, წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება უარყოფილ იქნა. მიზეზად კომიტეტის მხრიდან სწორედ „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ კანონპროექტის უახლოეს პერიოდში ინიცირება დასახელდა, რომელიც გარდა ზემოჩამოთვლილისა, უპატრონო და მიკედლებული შინაური ბინადარი ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის საკითხსაც ითვალისწინებს.

იმავე პერიოდში პარლამენტმა პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა პროექტს, რომელიც პატრონის მიერ ძაღლის ან კატის მიტოვებისთვის ჯარიმების დაწესებას ითვალისწინებდა. „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებების პროექტის თანახმად, რეგისტრირებული ძაღლის ან კატის მიტოვება პატრონის მიერ – გამოიწვევს მეპატრონე ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, განმეორების შემთხვევაში – 1,000 ლარით, იურიდიული ან ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში – 1,500 ლარის ოდენობით, ხოლო განმეორებით შემთხვევაში – 3,000 ლარით. აღნიშნული საკანონმდებლო წინადადების თაობაზე საკომიტეტო განხილვის ვადები დღემდე უცნობია.

ბოლო პერიოდში, ცხოველთა მიმართ არასათანადო მოპყრობის შესახებ აქტიურად თავად მოქალაქეებიც საუბრობენ და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მოთხოვნის ინიციატივით გამოდიან. მაგალითისთვის, დაწესებული ზღვარი (5,000 ხელმოწერა) გადალახა ავტომობილის ცხოველზე დაჯახების შემთხვევაში მონაწილე მძღოლის ვალდებულებისა და პასუხისმგებლობის დეტალურად გაწერის მოთხოვნით www.manifest.ge-ზე განთავსებულმა პეტიციამ, რომლის მთავარ მიზანს დაზარალებული ცხოველის მიმართ დახმარების აღმოჩენის ვალდებულებისა და სამართლებრივ პასუხისმგებლობის დაკისრება წარმოადგენს.

პრაქტიკაში აღსრულება

საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგებასთან ერთად კრიტიკული მნიშვნელობა შემთხვევების გამოვლენასა და კანონის სრულყოფილად აღსრულებას ენიჭება, განსაკუთრებით კი ცხოველთა მიმართ სასტიკი და დაუნდობელი მოპყრობის ფაქტების მომრავლების ფონზე, რასაც სოციალურ მედიაში ხშირად ვაწყდებით, თუმცა მათზე სამართლებრივი რეაგირების შესახებ საზოგადოება ნაკლებად ინფორმირებულია. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) შესაბამის საჯარო უწყებებს სწორედ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა იმ რეგულაციის აღსრულების შესახებ მოსთხოვა ინფორმაცია, რომელიც ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფისკენაა მიმართული.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 104-ე მუხლით (ცხოველისადმი არასათანადო მოპყრობა) გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტებზე გამოძიების დაწყების მაჩვენებლებია გამოსახული, რომელიც IDFI-ის შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიაწოდა. მოცემულ დიაგრამაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, **რომ გამოძიება, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 104-ე მუხლთან მიმართებით, მხოლოდ ერთეულ შემთხვევებზე დაიწყო.**

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 104-ე მუხლით გამოვლენილი სამართალდარღვევები



აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით სამართალწარმოების შესახებ ინფორმაცია საქართველოს უზენაესი სასამართლოდანაც გამოვითხოვეთ. კერძოდ, IDFI დაინტერესდა რამდენ შემთხვევაში იქნა პირი ცნობილი სამართალდამრღვევად. თუმცა, სასამართლოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული მუხლი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებში ცალკე გამოყოფილი არ არის.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა აღნიშნავს გამოძიების დაწყების მაჩვენებელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლის პირველ ნაწილთან მიმართებით, რაც ცხოველის წამებას ან მისდამი სასტიკ მოპყრობას გულისხმობს, რამაც მისი დაღუპვა ან დასახიჩრება გამოიწვია.

სსკ 259-ე მუხლის პირველი ნაწილი



დაბალია ცხოველთა მიმართ სასტიკ მოპყრობასთან დაკავშირებით სასამართლოთა მიერ განხილულ საქმეთა რაოდენობა. საქართველოს უზენაესი სასამართლოდან მიღებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ცხოველის წამების ან მისდამი სასტიკი მოპყრობის მუხლით 2019 წლიდან 2022 წლის 1 ივნისამდე განხილულ იქნა 21 საქმე. კერძოდ, 2019 წელს, საქართველოს რაიონული სასამართლოების მიერ სსკ-ის 259-ე მუხლის პირველი ნაწილით გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილია ექვს საქმეზე. ექვსივე პირს სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა. 2020 წელს გამამტყუნებელი განაჩენი ხუთი პირის შემთხვევაში იქნა გამოტანილი, ხოლო 2021 წელს ეს რიცხვი გაიზარდა 8-მდე. **2019-2021 წლებში 259-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა ორ პირს.**

რაც შეეხება 259-ე მუხლის მეორე ნაწილს (იმავე ქმედება ჩადენილი ჯგუფურად, არაერთგზის და მცირეწლოვნის თანდასწრებით), გამამტყუნებელი განაჩენი 2 საქმეზე იქნა გამოტანილი, აქედან ჯარიმა შეეფარდა ერთ პირს, პირობითი მსჯავრი - ასევე ერთ პირს.

ცხოველის წამების ან მისდამი სასტიკი მოპყრობის საზოგადოებაში გავრცელებული ფაქტების სიმრავლე და აღნიშნულ თავში მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები აჩენს ეჭვს, რომ მსგავს **დანაშაულთა დიდი რაოდენობა სამართალდამცავ ორგანოებამდე ვერ აღწევს, ან სათანადოდ არ ხდება ყველა ფაქტზე რეაგირება, რაც ცნობიერების ამაღლების საჭიროებაზე მიუთითებს.**

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში არსებული ჩანაწერის თანახმად, მუნიციპალიტეტი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში განსაზღვრავს შინაური ცხოველების ყოლის წესებს, ასევე უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებულ საკითხებს.[9] შესაბამისად, როგორც დასაწყისში აღინიშნა, ადგილობრივ დონეზე ცხოველთა კეთილდღეობის საკითხები მუნიციპალიტეტების მიერ ცალკეულ დონეზე მიღებული დადგენილებებით რეგულირდება.

მიუსაფარ ცხოველთა ჭარბი პოპულაციის მართვა, ასევე დაავადებებისა და ეპიდემიების გავრცელების რისკი განსაკუთრებით მწვავედ სწორედ რეგიონებში დგას. 2018 წლიდან, მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს ცხოველთა თავშესაფრების პროექტირებისა და მშენებლობის სამუშაოებს. ამ დროისათვის, თავშესაფრები, თბილისთან ერთად, რამდენიმე ქალაქში, მათ შორის გორში, გურჯაანში, რუსთავსა (დროებითი თავშესაფარი) და ქუთაისში ფუნქციონირებს. რაც შეეხება თბილისს, დედაქალაქში ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფარი 2012 წლიდან ფუნქციონირებს. მოცემულ თავში წარმოდგენილი ანალიზი სწორედ დედაქალაქის მონაცემებზე დაყდრდნობით განხორციელდა.

თბილისში ცხოველთა მოვლა-პატრონობის და პოპულაციის მართვის საკითხებს საკრებულოს მიერ 2015 წელს მიღებული დადგენილება[10] არეგულირებს. დადგენილება ცხოველთა პატრონებისთვის განსაზღვრავს ცხოველის რეგისტრაციის, ასევე მის შენახვასა და მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. გარდა ამისა, ნორმატიული აქტი ადგენს ცხოველთა თავშესაფრის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებს, უპატრონო ცხოველების პოპულაციის მართვისა და კონტროლის მექანიზმებს და ა.შ. დადგენილებით განსაზღვრული წესების დარღვევის შემთხვევაში, ცხოველის მეპატრონეს, ყველა ზემოჩამოთვლილი კანონით გათვალისწინებული საჯარიმო თუ სხვა სახის სანქციები შესაძლოა შეეხოს.

დედაქალაქის ტერიტორიაზე ცხოველების მოვლა-პატრონობის წესის შესრულების მონიტორინგს 2015 წელს შექმნილი ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო ახორციელებს, რომელიც საქმიანობას საკრებულოს მიერ დამტკიცებული დებულების[11] საფუძველზე წარმართავს. უფლებამოსილ ორგანოს ყველაზე ხშირად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-

---

[9] *საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი". მუხლი 16, ნაწილი 2.*

[10] *ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N7-28 დადგენილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2805510?publication=3*

[11] *ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-56 დადგენილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო"-ს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2623513?publication=0*

ე მუხლის პირველ ნაწილთან დაკავშირებით აქვს რეაგირება, რაც ძაღლისა და კატის ყოლის წესების დარღვევას გულისხმობს. საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, სააგენტოს სპეციალურად გადამზადებული თანამშრომლები დედაქალაქის სკვერებში, პარკებსა და ქუჩებში მოსახლეობისა და ცხოველების უსაფრთხოების ნორმების დაცვის, ძაღლების გამოსეირნების წესებისა და დედაქალაქში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგს ახორციელებენ.

სააგენტოდან ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაცის თანახმად, თბილისში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე გამოყენებულ საჯარიმო სანქციათა ოდენობები 2019 წლამდე იზრდებოდა, რის შემდეგაც როგორც ფაქტების, ასევე ჯარიმების მოცულობა ყოველწლიურად იკლებს.

ხეაგიხება ადმინისტხაციუღ სამახთაღდახღვევებზე - მუხღი N103, ნაწიღი I



არა მხოლოდ თბილისის, არამედ სხვა მუნიციპალიტეტებისთვისაც მასშტაბურ პრობლემას წარმოადგენს მიუსაფარ ცხოველთა საკითხი. ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო დედაქალაქში აღნიშნული გამოწვევის აღმოფხვრის მიზნით რამდენიმე მიმართულებით მუშაობს, ეს გახლავთ: მიუსაფარ ცხოველთა აღრიცხვა, საიდენტიფიკაციო საშუალებების - მიკროჩიპიბის, ტატუირების, ან საჭდის („ბირკა“) ცხოველებზე განთავსება, ცხოველების თავშესაფარში განთავსება და შემდგომი პროცედურების მოწესრიგება, მუნიციპალური თავშესაფრის ფუნქციონირებისათვის სათანადო პირობების შექმნა, ცხოველების მასობრივი ანტირაბიული[12] ვაქცინაცია და სხვა.

[12] *ცოფის ვირუსის საწინააღმდეგო*

სააგენტოს წარმომადგენლები, საკრებულოს დადგენილებაში[13] არსებული ჩამონათვალის თანახმად, ცხოველთა სატატუსებს შემდეგნაირად განსაზღვრავენ - პატრონიანი, უპატრონო, მიკედლებული და უმეთვალყურეო. დადგენილების მე-3 მუხლში მოცემული ტერმინთა განმარტების თანახმად, **უპატრონოა** ცხოველი, რომელზეც კონკრეტული მომენტისთვის არ ხორციელდება მეთვალყურეობა და რომელსაც ცხოველთა თავშესაფარში გადაყვანის შემდგომ ამ წესით განსაზღვრულ ვადაში არ დაუდგინდება მეპატრონე. **მიკედლებულის** სტატუსის მქონედ ითვლება ცხოველი, რომლის მეთვალყურე პირს უფლებამოსილ ორგანოში ცხოველის რეგისტრაციის მომენტიდან აქვს აღებული ვალდებულება მის მოვლასა და ვეტერინარული სამედიცინო მომსახურების განხორციელების უზრუნველყოფაზე, ხოლო **უმეთვალყურეოდ** ითვლება ის ცხოველი, რომელზეც დროის კონკრეტულ მონაკვეთში არ ხორციელდება მეთვალყურეობა და რომელსაც ცხოველთა თავშესაფარში გადაყვანიდან განსაზღვრულ ვადაში დაუდგინდება მეპატრონე. მონიტორინგის სააგენტოს წარმომადგენლები ჩვენთვის მოწოდებულ ინფორმაციაში განმარტავენ, რომ "უპატრონო" და "მიკედლებული" სტატუსის მქონე ცხოველი ბინადრობს თავისუფალ ბუნებრივ არეალში, მათ შორის ქუჩაში, ხოლო „უმეთვალყურეო ცხოველი" წარმოადგენს არა ცხოველის სტატუსს, არამედ დროის კონკრეტულ მონაკვეთში მისი მდგომარეობის ამსახველ ტერმინს. კერძოდ, როდესაც ცხოველი პატრონს ნებსით თუ უნებლიედ დატოვებული ჰყავს მეთვალყურეობის გარეშე, შესაბამისად, აღნიშნული კატეგორიის ცხოველი სააგენტოს ცხოველთა სარეგისტრაციო ბაზაში არ აღირიცხება.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა 2022 წლის ივნისში არსებულ მდგომარეობას ასახავს.



[13] *ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N7-28 დადგენილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ. მუხლი 3. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2805510?publication=3*

სააგენტოს მხრიდან მოწოდებული ინფორმაციით ვიგებთ, რომ მიკედლების გარეშე დარჩენილ ძაღლთა რაოდენობა პატრონიანთა რაოდენობას მნიშვნელოვნად აღემატება. თუმცა, ეს შესაძლოა ცხოველთა რეგისტრაციის სავალდებულო წესის აღსრულების ხარვეზებზეც მიუთითებდეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ცხრილში მითითებული უპატრონო და მიკედლებული შინაური ცხოველების რაოდენობაც საორიენტაციოა, და ასახავს სააგენტოში შემოსული და რეგისტრირებული, შემდგომ კი ბუნებრივ არეალში გაშვებული ცხოველების რაოდენობას. გამომდინარე აქედან, გრაფიკზე გამოსახული ცხოველთა რაოდენობა სააგენტოს თავშესაფარში განმეორებით შემოყვანილ ცხოველებსაც მოიცავს, რაც განპირობებულია ცხოველზე სხვადასხვა პროცედურების ჩატარების აუცილებლობით, მათ შორის, ცხოველის საჭდის დაკარგვით, მისი ხელახალი იდენტიფიკაციის, ან რევაქცინაციის საჭიროებით. აღსანიშნავია ისიც, რომ სააგენტოს ინფორმაციით, უშუალოდ მიუსაფარ ძაღლთა ერთიანი აღრიცხვა, ბოლოს, 2015 წელს განხორციელდა. ძაღლების რაოდენობამ იმ დროისათვის 43,000 შეადგინა. სააგენტოს წარმომადგენლების განცხადებით, არსებობდა დათვლის სანდო მეთოდოლოგიის პრობლემაც. ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო, 2022 წლისთვის, უცხოელ ექსპერტებთან თანამშრომლობით შემუშავებულ სანდო მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, მიუსაფარ ძაღლთა რაოდენობის ამსახველი მონაცემების განახლებასაც გეგმავდა.

მიუსაფარი ძაღლების სიმრავლის განმაპირობებელი ერთ-ერთი გარემოება თავშესაფარში შესვლის შემდგომ მათი უკან, ბინადრობის არეალში დაბრუნებაა. კატების შემთხვევაში თავშესაფარში შეყვანის რაოდენობა 1,000-დან 2,000-ის ფარგლებში მერყეობს და ის მნიშვნელოვნად აღემატება მათი ბინადრობის არეალში დაბრუნების მაჩვენებელს. მაგალითისთვის, 2017 წელს, თავშესაფარში შეყვანილი 1,132 კატიდან ბინადრობის არეალს 35 მათგანი დაუბრუნდა. ამ კატეგორიაში კატების დაბრუნების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გასულ წელს დაფიქსირდა და 382-ს მიაღწია.



ქვემოთ მოცემული დიაგრამა თბილისის მუნიციპალურ თავშესაფარში შეყვანილი და აქედან ბინადრობის არეალში დაბრუნებული, გაჩუქებული და მიკედლებული ძაღლების რაოდენობრივ მაჩვენებლებს აღნიშნავს.

თბილისის მუნიციპალუჰ თავშესაფაჰში შეყვანილი ძაღლების სტატისტიკა



როგორც არსებული მონაცემებით ირკვევა, თავშესაფარში ყოველწლიურად შეყვანილი ძაღლების რაოდენობა 7-8 ათასის ფარგლებში მერყეობს, ბოლო ოთხი წლის მანძილზე, თბილისის მუნიციპალურ თავშესაფარში შესული ძაღლების ნახევარი კი ბინადრობის არეალს უბრუნდება. რაც შეეხება 2017-2021 წლებში მუნიციპალური თავშესაფრიდან გაჩუქებული და მიკედლებული ძაღლების ოდენობებს, მოცემულ დიაგრამაზე ნათლად ჩანს, რომ გაჩუქების მაჩვენებლი მკვეთრად ჩამორჩება მიკედლების მაჩვენებელს, თავად ეს უკანასკნელი ყოველთვის ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

რაც შეეხებათ კატებს, გაჩუქების შემთხვევაში მათი რიცხვი 100-დან 200-ის ფარგლებში მერყეობს, მიკედლებული კატების რაოდენობა კი წლის მანძილზე მაქსიმუმ 500-ს აღწევს. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალურ თავშესაფარში მყოფი გასაჩუქებელი ცხოველების შესახებ ინფორმაცია, ფოტოსურათთან ერთად ყოველდღიურად ქვეყნდება ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ვებგვერდზე.

მიუსაფარი ცხოველების პოპულაციის შემცირების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებას სტერილიზაცია/კასტრაცია წარმოადგენს. თბილისის საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილების[14] თანახმად, ცხოველთა თავშესაფრიდან, ახალი პატრონისა თუ მიმკედლებელისათვის გადასაცემი, ასევე ბინადრობის პირვანდელ არეალში დასაბრუნებელი ცხოველები ექვემდებარებიან სავალდებულო ქირურგიულ ან მედიკამენტურ სტერილიზაციას. გამონაკლისი დაიშვება თავშესაფრიდან ახალი პატრონისა თუ მიმკედლებელისათვის გადასაცემ იმ ცხოველებზე, რომელთა სტერილიზაცია/კასტრაციის შესახებ პატრონი ან მიმკედლებელი ცხოველის გადაცემის მომენტიდან 2 თვის ვადაში, შესაბამისი ოპერაციის ჩატარების უზრუნველყოფის შესახებ ვალდებულებას წერილობით აიღებს. გამონაკლისი ასევე ეხება ახალი პატრონის მხრიდან ცხოველის ჯიშის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენასაც.

მიუსაფარ ცხოველთა დეპოპულაციის ხელშემწყობი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ჰუმანური მეთოდია ე.წ. TNVR[15] - ცხოველის სტერილიზაცია-კასტრაცია-ვაქცინაცია-უკან დაბრუნება, რომელიც ხელს უწყობს ქუჩებში მიუსაფარ ცხოველთა რაოდენობის შემცირებას და მძიმე დაავადებების გავრცელებას. აღსანიშნავია, რომ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო ყოველწლიურად დაახლოებით 6,000 ცხოველს ასტერილებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროების შემთხვევაში, მიუსაფარ ცხოველთა შემდგომი გამრავლების მიზნით დედაქალაქის მიუსაფარი ცხოველების უსასყიდლო სტერილიზაცია / კასტრაციას არასამთავრობო ორგანიზაციებიც ახორციელებენ. ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მხრიდან ქირურგიული პროცედურების ამსახველი ბოლო წლების სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

თბილისის მუნიციპალიტეტის თავშესაფარში ძაღლებისთვის ჩატარებული სტერილიზაცია/კასტრაცია



[14] *იქვე. მე-8 მუხლი. მე-12 ნაწილი.*

[15] *Trap-Neuter-Vaccinate-Return (TNVR)*

როგორც დიაგრამიდან იკვეთება, 2017 წლიდან 2021 წლამდე მუნიციპალურ თავშესაფარში თითქმის ორჯერ გაიზარდა ძაღლებისთვის სტერილიზაციის ჩატარების რაოდენობა. უმნიშვნელოდ, თუმცა მაინც გაზრდილია კასტრაციის პროცედურათა ჩატარების რაოდენობაც. სტერილიზაციის პროცედურათა რაოდენობა 2017 წლიდან დღემდე გაზრდილია კატების შემთხვევაშიც. თუ კი თავშესაფარში 2017 წელს 178 კატის სტერილიზაციას ჰქონდა ადგილი, 2021 წლის შემთხვევაში ეს რიცხვი 693-მდეა გაზრდილი.

გარდა სტერილიზაცია/კასტრაციის პროცედურების აუცილებლობისა, გამოწვევა დგას პატრონიანი მეტისების გამრავლების შეწყვეტის,[16] ასევე სხვა რეგიონებიდან ძაღლების მიგრაციის მაღალი ტემპის კუთხითაც. დაურეგულირებელია არა მხოლოდ მეტისების, არამედ ჯიშიანი შინაური ბინადარი ცხოველების გამრავლებაც. როგორც წესი, ცხოველთა გამრავლება ხდება სახლის, და არა ლიცენზირებული საშენების პირობებში. ამ კუთხით მნიშვნელოვანია მოხდეს ცნობიერების ამაღლება და შესაბამისი რეგულაციების არსებობა.

საკრებულოს დადგენილების[17] თანახმად, განსაზღვრულ შემთხვევებში - მხოლოდ და მხოლოდ ჰუმანური მეთოდების გამოყენებით - დასაშვებია ცხოველთა ევთანაზია. ეს შემთხვევები შესაძლოა მოიცავდეს: ცხოველის მხრიდან აგრესიულ ქცევას, ადამიანისთვის ან ცხოველისთვის საშიშ, ასევე განუკურნებელ დაავადებებს, სიცოცხლესთან შეუთავსებელ ტრავმებს, III-IV სტადიის ონკოლოგიურ დაავადებებს, შეუქცევად დაუძლურებასა და ფიზიოლოგიურ ნაკლს (ახალშობილებში). IDFI-ი თბილისის მუნიციპალურ თავშესაფარში აღრიცხული ძაღლების ლეტალობის მაჩვენებლით (ევთანაზია და ბუნებრივი სიკვდილი) დაინტერესდა. რაოდენობრივ მონაცემებში თვალშისაცემია 2017 წლისა და შემდგომი წლების მონაცემებს შორის არსებული მკვეთრი სხვაობა. კერძოდ, 2017 წელს ევთანაზიის 2,031 შემთხვევა დაფიქსირდა, შემდგომ წელს კი ეს მაჩვენებელი 825-მდე შემცირდა. ამის პარალელურად, იზრდება ბუნებრივი სიკვდილის მაჩვენებელი.

[16] *დადგენილების თანახმად, შეიეული ჯიშის ძაღლის მეპატრონე ვალდებულია უზრუნველყოს ჰუმანური გზით ცხოველის გამრავლების შესაძლებლობის შეწყვეტა*

[17] *იქვე. მე-9 მუხლი.*

თბილისის მუნიციპალუი თავშესაფარში ძაღლების ლეტალობის მაჩვენებელი



2017 წლის შემთხვევაში ყურადსაღებია კატების ევთანაზიის ამსახველი რაოდენობრივი მონაცემებიც. კერძოდ, 2017 წელს თავშესაფარში 1,132 კატა იქნა შეყვანილი, ევთანაზია კი ჩაუტარდა 795-ს.

დასკვნა

საქართველოს კანონმდებლობა ამ ეტაპზე მხოლოდ ფრაგმენტულად განსაზღვრავს ადამიანის კომპანიონ ცხოველთა მოვლა-პატრონობისა და მათი კეთილდღეობის განმსაზღვრელ სამართლებრივ საფუძვლებს. აქამდე დაურეგულირებელი საკითხების გათვალისწინებით ქვეყანა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, მათ შორისაა შინაურ ბინადარ ცხოველთა უკონტროლო გამრავლება, ცხოველთა მეპატრონეების მხრიდან რეგისტრაციის სავალდებულო წესის აღსრულება, ცხოველების მომშენებლებისა და სავაჭრო ობიექტების დაურეგულირებელი საქმიანობა, არასასურველი კომპანიონი ცხოველების მიტოვება და ა.შ. გარდა ამისა, ხშირია ადამიანების მხრიდან ცხოველის მიმართ სასტიკი მოპყრობის ფაქტები. ანალიზმა ასევე აჩვენა, რომ გახშირებული ფაქტების მიუხედავად, მცირეა ამ შემთხვევების შესახებ შესაბამისი უწყებებისადმი მიმართვიანობა და ფაქტებზე რეაგირება, რაც ცალსახად ცნობიერების ამაღლების საჭიროებაზე მიუთითებს, რაც, ერთი მხრივ, საგანმანათლებლო პროგრამებში ცხოველთა კეთილდღეობის საკითხების ასახვით შესაძლოა გადაწყდეს. ეს უკანასკნელი ხელს შეუწყობს ცხოველთა მიმართ ემპათიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებასა და საზოგადოების მხრიდან სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებას. საკითხის ირგვლივ ასევე უნდა ამაღლდეს მუნიციპალიტეტების და ყველა კომპეტენტური ორგანოების წარმომადგენლების კომპეტენცია და შესაძლებლობები.

მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს მუნიციპალიტეტებისთვის სათანადო ფინანსური რესურსების გამოყოფაზე. თბილისის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ საკითხის რეგულირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზას წარმოადგენს თავშესაფართა მშენებლობა და რესურსების გამოყოფა, რაც უზრუნველყოფილ უნდა იქნას მთელი საქართველოს მასშტაბით. ამასთან, მიუსაფარ ცხოველთა დეპოპულაციის უზრუნველყოფის მიზნით, უნდა შემუშავდეს მიუსაფარი ძაღლების აღრიცხვის სანდო მეთოდოლოგია, არსებობდეს ერთიანი ბაზა და ამოქმედდეს მასობრივი სტერილიზაცია-კასტრაციის სახელმწიფო პროგრამა, არა მხოლოდ დედაქალაქის, არამედ სხვა ქალაქებსა თუ რეგიონებში.

არსებულ პრობლემათა ჯაჭვის დასრულება და აღმოფხვრა მხოლოდ სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის არსებობას და მის ეფექტურ აღსრულებას შეუძლია. აუცილებელია დროულად მოხდეს კანონპროექტის ინიცირება, პროცესი წარიმართოს ინკლუზიურად, მოხდეს საკითხზე მომუშავე სპეციალისტების მოსაზრებების გათვალისწინება და მიღებულ იქნას კანონი, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით უზრუნველყოფს კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობას და საზოგადოებასთან მათ უსაფრთხო თანაარსებობას.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

ტ. შევჩენკოს ქ. 20, თბილისი, 0108;

+995 32 2 92 15 14

Info@idfi.ge

www.idfi.ge